

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ბაგრატიონი - 1882“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 28 სექტემბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

დავით მიქელაძე,
შპს „გაა კონსალტინგის“ სახელით თბილისი,
საქართველო

28 სექტემბერი 2020 წ

სს „ბაგრატიონი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ბაგრატიონი და შვილობილი კომპანიები

2019 წლის 31 დეკემბერი

სს “ბაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ბაგრატიონი - 1882“-ის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

სს „ბაგრატიონი - 1882“-ის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ბაგრატიონი - 1882“-ის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოდIFIცირებული მოსაზრების საფუძველი

სს ბაგრატიონი-1882-ს არ აქვს ჩატარებული აქტივების შეფასება, მათი სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპანიის ბალანსზე აღიცხული აქტივების უდიდეს ნაწილს უძრავი ქონება წარმოადგენს და მისი ღირებულება არ იცვლება მკვეთრად დროთა განმავლობაში, აღნიშნული გარემოება არ გვაძლევს საშუალებას დასაბუთებულად ვიმსჯელოთ აქტივების ღირებულებაზე. სს ბაგრატიონი-1882-ს ბალანსზე აღრიცხულია 100% წილი შპს „კავკას აგრო“-ში. წილი აღრიცხულია მისი ნომინალური ღირებულებით, 393 000 ლარი, რაც ჩვენი აზრით არ ასახავს აქტივის სამართლიან ღირებულებას.

სს „ბაგრატიონი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისგან, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA ჩოდე”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები, არის ისეთი საკითხები, რომლებიც ჩვენი პროფესიული მსჯელობით იყო ყველაზე მნიშვნელოვანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას. კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი მოიცავდა ასეთ საკითხებსაც და ჩვენ ცალკე მოსაზრებას აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებზე არ გამოვხატავთ.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფს არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული

იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

- მოვიპოვებთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალ კომპანიების, თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა გამოგვეხატა მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჯგუფის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის, და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე, და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად. მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან, ჩვენ გამოვყოფთ საკითხებს, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანნი და ამდენად, წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან, განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გახსნის უარყოფითი შედეგები სავარაუდოდ.



CONSULTING

გაა კონსალთინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

სს “ზაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით

სს ზაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვანაირად არ არის აღნიშნული სადმე)

	არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
	ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური ანგარიშგებისთვის დასახელება	მენიშენა		
მიწა	734,223	734,223	739,184
ძირითადი საშუალებები (წმინდა)	5,666,147	5,666,147	6,042,088
არამატერიალური აქტივები (წმინდა)	89,790	89,790	110,949
ინვესტიცია	1,870,163	1,870,163	2,689,877
ბიოლოგიური აქტივი	2,899,349	2,899,349	2,899,349
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	55,379	55,379	55,379
სულ გრძელვადიანი აქტივები	11,315,052	11,315,052	12,536,826
მარაგები	2,661,909	2,661,909	3,100,816
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5,497,991	5,497,991	5,597,282
გადახდილი ავანსები	34,946	34,946	34,946
მოთხოვნა სადეპოზიტო ანგარიშიდან	0	0	0
საბიუჯეტო აქტივი	0	0	0
მისაღები პროცენტი	2,457,847	2,457,847	3,115,804
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	76,390	76,390	40,301
სულ მიმდინარე აქტივები	10,729,083	10,729,083	11,889,148
მთლიანი აქტივები	22,044,135	22,044,135	24,425,974
სააქციო კაპიტალი	(7,413,585)	(7,413,585)	(7,413,585)
გადაფასების რეზერვი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	72,013,929	72,013,929	70,393,803
სულ კაპიტალი	64,600,344	64,600,344	62,980,218
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	(33,172,405)	(33,172,405)	(36,341,540)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	(33,172,405)	(33,172,405)	(36,341,540)

სს "ზაგრატიონი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(2,231,878)	(2,231,878)	(3,224,976)
მიღებული ავანსები	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	0	0	0
საბიუჯეტო ვალდებულება	(500,077)	(500,077)	(466,619)
გადასახდელი პროცენტი	(50,190,749)	(50,190,749)	(46,846,099)
თანამშრომლების წინაშე ვალდებულება	(549,370)	(549,370)	(526,957)
გადასახდელი დივიდენდები	0	0	0
ოვერდრაფტი	0	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	(53,472,074)	(53,472,074)	(51,064,651)
სულ ვალდებულებები	(86,644,479)	(86,644,479)	(87,406,191)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	(22,044,136)	(22,044,136)	(24,425,974)

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვანაირად არ არის აღნიშნული სადმე)

	არააუდიტირებული	აუდიტირებული
	მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შემოსავალი	8,915,606	8,915,606
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,894,841)	(4,894,841)
საერთო მოგება	4,020,765	4,020,765
სხვა შემოსავალი	344,036	344,036
ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი	23,740	23,740
ხელფასის ხარჯი	(1,237,231)	(1,237,231)
იჯარა	(404,982)	(404,982)
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,336,712)	(1,336,712)
ცვეთა და ამორტიზაცია	(496,323)	(496,323)
სხვა ხარჯები	(267,476)	(267,476)
შედეგი საოპერაციო ხარჯებიდან	645,817	645,817
ფინანსური შემოსავალი	611,671	611,671
ძირითადი საშუალებიდან მიღებული შემოსავალი/ზარალი	5,466,716	5,466,716
ფინანსური ხარჯი	(2,114,940)	(2,114,940)
საკუროს სხვაობა შემოსავალი/ხარჯი	(5,416,659)	(5,416,659)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(812,728)	(812,728)
მოგება დაბეგვრამდე	(1,620,124)	(1,620,124)
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მოგება დაბეგვრის შემდგომ	(1,620,124)	(1,620,124)
სხვა სრული შემოსავალი	0	0
გადაფასების რეზერვი	0	0
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	(1,620,124)	(1,620,124)

სს “ბაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სს ზაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვანაირად არ არის აღნიშნული სადმე)

ათასი ლარი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (არააუდიტებული)	7,414	-	(63,854)	(56,440)
გახსნილი კორექტირებები	-	-	-	-
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	(6,540)	(6,540)
დივიდენდი	-	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (არააუდიტებული)	7,414	-	(70,394)	(62,980)
გახსნილი კორექტირებები	-	-	-	-
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	(1,620)	(1,620)
დივიდენდი	-	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (აუდიტებული)	7,414	-	(72,014)	(64,600)

სს "ზაგრატიონი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვანაირად არ არის აღნიშნული სადმე)

	ათასი ლარი	
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	აუდიტირებული	არაუდიტირებული
	2019	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	(1,620)	(1,620)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	496	496
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება/ზარალი)	(5,467)	(5,467)
საპროცენტო ხარჯი	2,114	2,114
მოგების გადასახადის ხარჯი		
ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი	(24)	(24)
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	5,294	5,294
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	793	793
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	72	72
ცვლილება მარაგებში	439	439
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(993)	(993)
ცვლილება სხვა მოკლევადიან აქტივებში	-	-
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	56	56
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	367	367
გადახდილი პროცენტი	(2,076)	(2,076)
გადახდილი მოგების გადასახადი		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,709)	(1,709)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(388)	(388)
არამატერიალური აქტივების შეძენა		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	5,473	5,473

სს "ბაგრატიონი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

მიღებული პროცენტი	1,242	1,242
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	6,327	6,327
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდი	-	-
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-	-
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,450	5,450
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(10,761)	(10,761)
განხორციელებული ინვესტიციიდან მიღებული სახსრები	729	729
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,582)	(4,582)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	36	36
კურსთა შორის სხვაობა		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	36	36
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	40	40
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	76	76

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „ბაგრატიონი - 1882“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების – შპს „დრაი ფრუტ ჯორჯია“ და შპს „კავკას აგრო“ – ფინანსურ ინფორმაციას. სს „ბაგრატიონი - 1882“ არის საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: თბილისი, გლდანის რაიონი, სარაჯიშვილის გამზირი #12. სს „ბაგრატიონი - 1882“ ფლობს 65%-იან წილს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დრაი ფრუტ ჯორჯიაში“ და აგრეთვე 100%-იან წილს შპს „კავკას აგროში“. სს „ბაგრატიონი - 1882“-ის 96,82%-იანი აქციების მფლობელი არის ლუქსემბურგში დაფუძნებული და რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „კორე ინვესტი“, ხოლო აქციების 3,18% ეკუთვნის სხვა აქციონერებს. ჯგუფი ცქრიალა ღვინის მწარმოებელი პირველი სპეციალიზებული საწარმოა საქართველოში და არის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია საქართველოს საცალო ბაზარზე.

სს „ბაგრატიონი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯგუფმა 2018 წელს მიიღო ახალი უწყება ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხვისთვის. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შესახებ იხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით და ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივისა და ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებული დეტალები იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ათასამდე, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და

ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 22-ე შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს ჯგუფმა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ჯგუფის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება გაშლილია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2017 წელს, მათ არ აქვთ მატერიალური ზეგავლენა ჯგუფის წლიურ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული იმ ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ჩამონათვალი, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან და მიღებულია ჯგუფის მიერ, წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	დასახელება	თარიღი
ფასს 9	ფინანსური ინსტრუმენტები (შენიშვნა 3.9)	2018 წლის 1 იანვარი
ფასს 15	ამონაგები მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (შენიშვნა 3.14)	2018 წლის 1 იანვარი
ბასს 28	ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	2018 წლის 1 იანვარი

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერჯერობით არ მიუღია ჯგუფს.

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და შესაბამისად ჯგუფს ჯერ არ მიუღია.

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შესწორებები: ეფექტურია სააღრიცხვო წლის დასაწყისისთვის ან შემდგომ ფასს 16, იჯარა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავდა იჯარის აღრიცხვის ახალი სტანდარტი.

(ა) ახალ სტანდარტს არ აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეიჯარეს მიერ იჯარის აღიცხვაზე. თუმცა, სტანდარტი მოითხოვს რომ მოიჯარემ ბალანსში იჯარა აღიაროს როგორც საიჯარო ვალდებულება აქტივის გამოყენების უფლებასთან კორესპონდენციაში.

(ბ) მოიჯარე ვალდებულია ყველა იჯარისთვის გამოიყენოს შეფასების ერთნაირი მოდელი, თუმცა მას აქვს უფლება არ აღიაროს იჯარა ფინანსურად მოკლევადიანი იჯარის ან საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულების შემთხვევაში.

(გ) ჩვეულებრივ, აღიარებულ იჯარასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის აღიარების მოდელი მსგავსია დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის, სადაც ფინანსური მდგომარეობის უწყისში საპროცენტო და ცვეთის ხარჯები აღიარებულია განცალკევებულად.

სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ იმავე თარიღისთვის გათვალისწინებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. ფასს 16-ზე გადასვლა შესაძლებელია რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. 2019 წლის 1 იანვარი ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015–2017 ციკლი, განახლებები ფასს 3, ფასს 11, ბასს 12 და ბასს 23

ფასიკ 23 ცვალებადობა მოგების გადასახადის მიდგომასთან. ფასიკ 23 ხელმძღვანელობს თუ როგორ აისახება ცვალებადობის ეფექტები მოგების გადასახადის აღრიცხვაში ბასს 12-ის მიხედვით, კერძოდ: ცვალებადი საგადასახადო მიდგომები ერთობლივად უნდა განიხილებოდეს თუ არა, დაშვებები საგადასახადო ზედამხედველი პირების მიერ ჩატარებული შემოწმებებისთვის, დასაბეგრი მოგების (ზარალის) განსაზღვრა, საგადასახადო ბაზები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო განაკვეთები და ფაქტებისა და გარემოებების ცვლილების ეფექტი. 2019 წლის 1 იანვარი ცვლილებები ფასს 9-ში, ფინანსური ინსტრუმენტები, დაკავშირებული წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით. აღნიშნული გულისხმობს ფასს 9-ში არსებული მოთხოვნების ცვლილებას შეწყვეტის უფლებასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს ამორტიზებული ღირებულებით შეფასება (ან, ბიზნეს მოდელის მიხედვით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში) უარყოფითი კომპენსაციის შემთხვევაშიც კი.

2019 წლის 1 იანვარი ცვლილება სტანდარტში ბასს 19 დაქირავებულ პირთა კომპენსაციები: ცვლილებები განმარტავს: ჯგუფი იყენებს განახლებულ აქტუარული შეფასების მეთოდს მიმდინარე მომსახურების ღირებულების და პერიდში წმინდა პროცენტის განსაზღვრისთვის და ახდენს აქტივის ზედა ზღვრის იგნორირებას შეთანხმებასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის კალკულაციისას, რაც ცალკე განიხილება სხვა სრულ შემოსავალში 2019 წლის 1 იანვარი ცვლილებები ბასს 28-ში, ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, დაკავშირებული გრძელვადიან წილის ფლობასთან მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. აღნიშნული ცვლილება განმარტავს, რომ საწარმო რომელიც იყენებს ფასს 9-ს, ფინანსური ინსტრუმენტები, გრძელვადიან წილის ფლობისთვის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში, რომელიც ქმნის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში წმინდა ინვესტიციის ნაწილს, კაპიტალის მეთოდი

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არ გამოიყენება. 2019 წლის 1 იანვარი

ცვლილებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალურ ჩარჩოში შესწორებების შეტანის თაობაზე – ცვლილებები შემდეგი სტანდარტებისთვის ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფასიკ 19, ფასიკ 20, ფასიკ 22 და შიჩ-32 ეხება მითითებებსა და ციტატებს ახალი ჩარჩოს შესაბამისად, ან მითითებებს იმის შესახებ, სადაც კონცეპტუალური ჩარჩოს სხვა ვერსია გამოიყენება 2020 წლის 1 იანვარი ცვლილებები ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (2011) დაკავშირებული ინვესტიორის მიერ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიმართ რეალიზაციის ან აქტივების სახით შენატანების მოპყრობის შესახებ ფექტური თარიღი ჯერ განუსაზღვრელია. ადრეული მიღება დასაშვებია. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებულ იქნება ჯგუფის საანგარიშო პოლიტიკებში პირველი პერიოდისთვის, ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანიები	წილები	დაფუძნების თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს "კავკას აგრო"	100%		
შპს "დრაი ფრუტ ჯორჯია"	65%		

კომპანიის ერთ შვილობილ კომპანიას (შპს "დრაი ფრუტ ჯორჯია") 2017 წლიდან აქტიური ოპერაციები არ ჰქონია.

2.7 ფინანსური ანგარიშგების ცვლილება

ჯგუფს შეაქვს ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში და ასწორებს წინა პერიოდის შეცდომებს, მათი აღმოჩენის შემდეგ რეტროსპექტულად ფინანსური ანგარიშგების თავდაპირველ ვერსიაში. ცვლილებების შეტანა ხდება შემდეგნაირად: გადაანგარიშდება შესადარისი თანხები წინა პერიოდებისთვის, რომლებშიც მოხდა შეცდომა; ან თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ პერიოდში, ხდება აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ბალანსების ცვლილება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ისე თითქოს შეცდომის გასწორება მოხდა იმ პერიოდის განმავლობაში როდესაც ამის აუცილებლობა გაჩნდა. აქედან გამომდინარე, შესწორებული თანხის ოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში რომელშიც ის განხორციელდა.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 საერთო მოსაზრებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს –ის მიერ თითოეული ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯებისთვის განსაზღვრული შეფასების საფუძველზე. შეფასების საფუძვლები სრულად არის აღწერილი ქვემოთ მოცემულ საანგარიშგებო პოლიტიკებში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული საანგარიშგებო პოლიტიკები შესაბამისობაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებულ პოლიტიკებთან, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებისა.

3.2 კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე. ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, თავდაპირველად აღრიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად. ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში. არამაკონტროლებელი წილი არის წილობრივი მონაწილეობა შვილობილ კომპანიებში, რომელიც არ არის ჯგუფის მფლობელობაში. ანგარიშგების თარიღისთვის, არამაკონტროლებელის წილი წარმოადგენს არამაკონტროლებელი აქციონერების წილს შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, შესყიდვის თარიღისთვის, და შესყიდვის თარიღის შემდგომ, უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში. არამაკონტროლებელის მონაწილეობა წარმოდგენილია კაპიტალის მუხლებში. ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია). მეკავშირე საწარმოებთან დაკავშირებული ტრანზაქციების საფუძველზე წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება გაქვითულია ინვესტიციებთან.

3.3 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.0701 ლარს. (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და ერთი ევრო 3.1044 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელი, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით

ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ვაზის გაშენება წარმოდგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე.

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან. მიწას და ვენახს ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნაღებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიყიდა) ან, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ გაიყიდა).

3.5 ბიოლოგიური აქტივები და ბიოპროდუქცია

სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება ბასს 41-ის „სოფლის მეურნეობა“ თანახმად. ყურძნის მოსავლის აღება, როგორც წესი, ოქტომბერში ხდება. მოსავლის აღებამდე, ყურძნის მოშენების დანახარჯები აღირიცხება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში. მოსავლის აღებისას ყურძენი ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ამიტომ ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბასს 41-ის შესაბამისად და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად ყოველგვარი მოგება თუ ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ეს შეფასება წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღებისას გადაიტანება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.

ბასს 41-ის მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ასევე ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სამრეწველო მცენარეები აღირიცხება თვითღირებულებით, ბასს 16-ის „ძირითადი საშუალებები“ შესაბამისად.

3.6 სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალზე. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 5-7 წლით პროგრამებისთვის, უფლებებისა და სხვა მსგავსი არამატერიალური აქტივებისთვის.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ განიცდიან ცვეთას. ყოველწლიურად ხდება მათი არსებული ღირებულებისა და ამოღებადი თანხის შედარება იმისათვის რომ დადგინდეს გაუფასურებული ხომ არ არის არამატერიალური აქტივი.

3.7 იჯარა

ბასს 17-ის შესაბამისად, იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა მოიჯარეს, თუ მას ასევე გადაეცემა იჯარით აღებული აქტივის ყველა რისკი და ვალდებულება. აქტივი აღიარებულია იჯარის კონტრაქტის დაწყებისას იჯარით აღებული აქტივის სამართლიანი ღირებულებით ან, თუ უფრო დაბალია, იჯარის გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულია როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ იჯარით გათვალისწინებული თანხის ნაწილის გადახდა შეიძლება მოხდეს წინასწარ. ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივები შემდგომში ბუღალტრულად აღირიცხება სხვა აქტივების მსგავსად რომლებსაც ფლობს კომპანია. ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება ფინანსური ხარჯებით შემცირებული საიჯარო გადახდებით, რომელიც აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი. საიჯარო გადახდებიდან საპროცენტო ელემენტი განისაზღვრება როგორც პროპორცია კაპიტალის ნაშთიდან და აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში. ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარით აღებულ ქონებაზე გადახდები აღიარებულია წლის ხარჯებში წრფივი მეთოდით, ასევე ხარჯად აღიარდება მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა მომსახურება და სადაზღვევო, როგორც გაწეული ხარჯი.

3.8 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

ნედლეული: შესყიდვის ხარჯი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;

მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო

ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ ნასესხებ სახსრებზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შემდგომი შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან ვალდებულება გაუქმდება.

3.9.1 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფმა მიიღო ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, გამოშვებული 2014 წლის ივლისში, რომელიც ეფექტური იყო 2018 წლის 1 იანვრისთვის და ამ თარიღის შემდგომი სააღრიცხვო წლისთვის. ფასს 9-ის მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბასს 39-ისგან ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტის მიხედვით მნიშვნელოვნად იცლება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის ზოგიერთი ასპექტები.

ფასს 9 მოიცავს ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ახალ მოთხოვნებსაც. ახალი მოთხოვნები გულისხმობს ჰეჯირების აღრიცხვის მეთოდის დაახლოებას რისკების მართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან, ჰეჯირებულ საგნებსა და ჰეჯირების ინსტრუმენტებზე არსებული უფლების ზრდით და ჰეჯირების ეფექტიანობის შეფასებისას უფრო მეტად პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.

კლასიფიკაცია და შეფასება ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით (FVOCI) ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

სასესხო ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL :

- ჯგუფი ფლობს აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია მიიღოს აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და შემდგომ გაყიდოს;

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

კაპიტალში წილობრივი ინვესტიციებისთვის, რომლის ფლობის მიზანი არ არის ვაჭრობა, ჯგუფს შეუძლია რეალური ღირებულებით ასახვის შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფმა შეიძლება, ფინანსური აქტივი, შემდგომში შეუცვლელობის პირობით, განსაზღვროს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით როგორც სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარების კრიტერიუმებს, თუ ამით გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა..

ბიზნეს მოდელის შეფასება:

ჯგუფი აფასებს ბიზნესმოდელის, რომელშიც აქტივები ფლობილია პორტფელის დონეზე, მიზანს რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს, იმას თუ როგორ ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის.

საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეფასება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირის და სარგებლის გადახდას:

შეფასების მიზნებისთვის, “ძირი” განიმარტება როგორც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება. სარგებელი კი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

იმის განსაზღვრისას საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და სარგებლის გადახდებს გულისხმობს თუ არა, ჯგუფი ითვალისწინებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ კონტრაქტის პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის განსაზღვრას, ფინანსური აქტივი დაკავშირებულია თუ არა ისეთ საკონტრაქტო პირობასთან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების პერიოდისა და თანხის ოდენობის ცვლილებას.

რეკლასიფიკაცია:

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება:

ჯგუფი ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ გაუსაფურების ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით და გაცემული ვალდებულებითი პირობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ჯგუფმა გაუფასურების ზარალის რეზერი ყოველთვის უნდა შეფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც ზარალის რეზერვი უნდა შეფასდეს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე. მათი შეფასება ხდება შემდეგნაირად:
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც არ არის გაუფასურებული ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (ე.ი სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის).
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც გაუფასურებულია ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.
- აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის: როგორც სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც ჯგუფისთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მთლობელი სესხს აითვისებს და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი აფასებს გაუფასურებულია თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ იმ მოვლენათაგან, რომელიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ერთი ან რამდენიმე მაინც მოხდა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. ჯგუფი იყენებს რეზერვის შექმნის მოდელს და საშუალო საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევს, როგორც ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების მართვის საკეთესო საშუალებას.

ჩამოწერა:

ჯგუფმა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს (ნაწილობრივ ან მთლიანად), თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი ანაზღაურდება. ეს ჩვეულებრივ ის შემთხვევაა, როცა ჯგუფმა ამოწურა ყველა იურიდიული ძალისხმევა ფინანსური აქტივის აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას რათა შესრულდეს ჯგუფის მიერ აღნიშნული თანხების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები.

გაუფასურების წარდგენა:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის ღირებულება აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ფასს-ზე გადასვლა :

ფასს 9-ზე გადასვლისას, ჯგუფს საშუალება აქვს არ გადაინაგარიშოს წინა წლის მონაცემები.

ფასს 9-ზე გადასვლის შედეგად წარმოშობილი სხვაობები დაკავშირებული კლასიფიკაციასთან, შეფასებასთან და გაუფასურებასთან აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის: თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და შემთხვევების გათვალისწინების საფუძველზე გაკეთდა შემდეგი შეფასებები::

- ბიზნესმოდელის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს.

თუ ფინანსურ აქტივს ჰქონდა დაბალი საკრედიტო რისკი ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, მაშინ ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

ფასს 9-ის გამოყენებას ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჯერ არ მოუხდენია.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივის სამ პრინციპულ კლასიფიკაციას: შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით, შეფასებას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL). ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დამოკიდებულია იმ ბიზნესმოდელზე, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივს ფლობს. ფასს 9 გამორიცხავს ბასს 39-ის მიხედვით განსაზღვრულ კატეგორიებს დაფარვის ვადების, სესხების და მოთხოვნების და გასაყიდად გამიზნული აქტივების კლასიფიკაციით. ამასთან ფასს 9 დიდწილად ინარჩუნებს ბასს 39-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ.

ფასს 9-ის მიღებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის, ფასს 9-ზე გადასვლისას გაუფასურების ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ფასს 9-ზე გადასვლას გავლენა არ მოუხდენია რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების საწყის ღირებულებებზე.

3.9.2 ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

3.9.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთობლივი განხორციელების შესახებ.

3.10 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდიანებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ამ აქტივს არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შეზღუდვა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შეზღუდვა განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.11 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას. ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვილებას კომპანიის წესდებებში (მათ შორის ცვილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ. სააქციო კაპიტალის წარდგენილი ნაშთი წარმოადგენს აქციების ნომინალურ ღირებულებას, რომელიც მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს. გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია მშობელ კომპანიასთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მშობელი კომპანიის რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.12 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

3.13 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები

ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იხეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბასის საფუძველზე. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.14 შემოსავლის აღიარება

მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ასრულებს აღებულ ვალდებულებას, ანუ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მყიდველს - ჩვეულებრივ, საქონლის ჩაბარების დროს.

მზა პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება. მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება გარიგების წმინდა ფასით, რომელიც ასახავს მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხის კორექტირებებს (ფულადი თანხები, რომლებსაც ჯგუფი უხდის ან მოელის, რომ გადაუხდის მომხმარებელს) და მოცულობის გამო ფასდაკლებებს.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

ფასს 15-ის მიღების ზეგავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე

თავდაპირველად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ბონუს ქულებთან დაკავშირებული ვალდებულების საფუძველზე ჯგუფი აღიარებდა რეზერვს ბონუს ბარათების გამოყენებაზე დაყრდნობით, ხოლო რეზერვის ცვლილებას ასახავდა ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.15 ფული და ფულადი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისათვის, ფულის ეკვივალენტები მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებია, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და

რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი ეკვივალენტები საჭიროა უფრო მეტად მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის, ვიდრე საინვესტიციო ან სხვა მიზნებისათვის. ჯგუფი აკლასიფიცირებს ინვესტიციებს, როგორც ნაღდი ფულის ექვივალენტებს, თუ ისინი ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებული დაშვებები

ხელმძღვანელობის მთავარი მისია მოიცავს სტაბილური მოგების მარჟის შენარჩუნებას, რაც დაფუძნებულია წინა წლების გამოცდილებაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს საუკეთესო შესაძლო მიდგომაა პროგნოზების გასაკეთებლად. ფულადი ნაკადების პროგნოზი ასახავს სტაბილურ მოგების ზღვარს, რომელიც მიღწეულია უშუალოდ ბიუჯეტირებამდე. ფასები და ხელფასები ასახავს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ინდუსტრიაში ინფლაციის განაკვეთის შესახებ.

ზემოხსენებული აქტივის აღდგენადი ღირებულების განსაზღვრის გარდა, ხელმძღვანელობა არცერთ ძირითად შეფასებაში მნიშვნელოვან ცვლილებას არ მოეწივს. აქტივის აღდგენადი ღირებულება ნაწილობრივ მგძნობიარეა დისკონტირების განაკვეთის ცვლილებაზე.

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
ლარები რეზიდენტ ბანკებში	4305.19	6194.51
სავალუტო ანგარიშები აშშ დოლარებში	63011.05	8737.78
სავალუტო ანგარიში კანადურ დოლარებში	25.24	40.58
სავალუტო ანგარიშები ევროებში	0.00	0.00
სავალუტო ანგარიშები ფუნტებში	149.21	0.00
სავალუტო ანგარიშები რუბლებში	0.00	0.00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	8820.14	25327.73
სულ	76,311	40,301

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს არის სანდო და ცნობილი საკრედიტო დაწესებულება.

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს

სს “ზაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შემდგენიარად

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,497,991	5,597,282
სულ	5,497,991	5,597,282

3. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენიარად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	34946.00	34946.00
სულ	34,946	34,946

4. მარაგები

მარაგების ნაშთები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენიარად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
მზა პროდუქცია	220,941	24,328
ნედლეული და მასალები	1,891,631	1,977,030
სხვა საწარმოო მარაგი	549,337	1,099,458
სულ	2,661,909	3,100,817

თვითღირებულებაში ხარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის არის 4 894 841 ლარი.

5. სხვა მიმდინარე აქტივები მისაღები პროცენტი

სხვა მიმდინარე აქტივები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენიარად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
მისაღები პროცენტი	2,457,847	3,115,804
სულ	2,457,847	3,115,804

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი

სს “ზაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
პროგრამული უზრუნველყოფა	11,240	11,240
სავაჭრო ნიშნები	87250.00	87,250
სხვა არამატერიალური აქტივები	155,083	155,083
სულ	253,572	253,572
დაგროვილი ცვეთა	(159,055)	(142,623)
სულ	(163,782)	(142,623)
საბალანსო ღირებულება	89,790	110,949

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ აქტივები
თვითღირებულება				
01.01.2019	10,348,503	8,045,703	327,309	18,721,515
შემოსვლა	351,409	10,894	25827.12	388,131
გასვლა/ჩამოწერა	288,907	50,168	29702.50	368,778
31.12.2019	10,411,005	8,006,429	323,434	18,740,868
დაგროვილი ცვეთა				
01.01.2019	(4,890,778)	(7,466,186)	(322,463)	(12,679,428)
პერიოდის ცვეთა	(268,793)	(198,657)	(7,713)	(475,164)
გასვლა/ჩამოწერა	0	50,168	29,703	79,871
31.12.2019	(5,159,571)	(7,614,676)	(300,474)	(13,074,721)
საბალანსო ღირებულება				
ბალანსი 31.12.2019	5,251,434	391,753	22,960	5,666,147

8. ბიოლოგიური აქტივები

სს “ზაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბიოლოგიური აქტივი 2019 და 2018 წლების მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
მრავალწლიანი ნარგავი	2,948,533	2,948,533
სულ	2,948,533	2,948,533
დაგროვილი ცვეთა	(49,184)	(49,184)
სულ	(49,184)	(49,184)
საბალანსო ღირებულება	2,899,349	2,899,349

9. ინვესტიცი

ინვესტიცია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
ინვესტიცია	1,870,163	2,689,877
სულ	1,870,163	2,689,877

10. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
შპს "კავკას აგრო" 100%	393,000	393,000
შპს "დრაი ფრუტ ჯორჯია" 65%	55,379	55,379
სულ	448,379	448,379

11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,231,878	3,281,667

სს "ზაგრატიონი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სულ	2,231,878	3,281,667
------------	------------------	------------------

12. საბიუჯეტო დავალიანება

საბიუჯეტო დავალიანება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
საბიუჯეტო დავალიანება	500,077	465,518
სულ	500,077	465,518

13. გადასახდელი პროცენტი

გადასახდელი პროცენტი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
საპროცენტო ვალდებულება	50,190,749	46,846,099
სულ	50,190,749	46,846,099

14. თანამშრომლების წინაშე ვალდებულება

თანამშრომლების წინაშე ვალდებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
თანამშრომლების წინაშე ვალდებულება	549,370	526,960
სულ	549,370	526,960

15. გრძელვადიანი სესხი

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
გრძელვადიანი სესხი	33,172,405	36,341,540
სულ	33,172,405	36,341,540

16. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკ. 2019	31 დეკ. 2018
დამფუძნებლების კაპიტალი	7,413,585	7,413,585

სს “ზაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

გაუნაწილებელი მოგება	(72,013,929)	(70,393,803)
გადაფასების რეზერვი		
სულ	(64,600,344)	(62,980,218)

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2019 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
კომუნალური ხარჯები	124,677
სხვა მიწოდების ხარჯები	807,683
ოფისის ხარჯები	28,707
ბანკის საკომისიო ხარჯები	61,523
საფოსტო ხარჯი	4,861
საკონსულტაციო და დაცვის ხარჯი	154,082
მივლინების ხარჯები	7,063
სხვა საწარმოო ხარჯი	71,902
წარმომადგენლობითი ხარჯი	76,206
სულ	1,336,703

18. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
ხელფასის ხარჯი	1,237,231
სულ	1,237,231

19. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
საპროცენტო ხარჯები	2,113,524
სულ	2,113,524

20. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2019 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
საპროცენტო შემოსავლები	611,668
სულ	0 611,668

21. ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
მს ცვეთა	475,164
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	21,159
სულ	496,323

22. ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი

ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი 2019 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
ვენახიდან მიღებული მოსავალი (ყურძენი)	23,740
სულ	23,740

23. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
გადასახადები	85,235
სხვა ფინანსური ხარჯები	718,785
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	8,708
სულ	812,728

24. კუსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი

კუსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი 2019 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
საკუროს სხვაობა შემოსავალი/ხარჯი	375,384
საკუროს სხვაობა შემოსავალი/ხარჯი	(5,792,044)
სულ	(5,416,659)

25. მთლიანი შემოსავლები

მთლიანი შემოსავლები 2019 წლის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
წარმოებიდან მიღებული შემოსავალი	8,915,606
იჯარა და სხვა რეალიზაცია	344,036
ძირითადი საშუალებიდან მიღებული შემოსავალი/ზარალი	5,466,716
სულ	0 14,726,358

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არსებითი ხასიათის მოვლენები და გარემოებები ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ პერიოდში არ ფიქსირდება.



CONSULTING

გაა კონსალთინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

სს „ბაგრატიონი - 1882“-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 28 სექტემბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

დავით მიქელაძე,
შპს „გაა კონსალთინგი“-ს სახელით თბილისი,
საქართველო



28 სექტემბერი 2020 წ

სს „ბაგრატიონი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ხარვეზიტრაციო
№SARAS-F-839053

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

სს ბაგრატიონი და შვილობილი კომპანიები

2019 წლის 31 დეკემბერი

სს “ბაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13

სს “ბაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

სს „ბაგრატიონი - 1882“-ის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას
დასკვნა

სს „ბაგრატიონი - 1882“-ი ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ბაგრატიონი - 1882“-ის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

სს ბაგრატიონი-1882-ს არ აქვს ჩატარებული აქტივების შეფასება, მათი სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპანიის ბალანსზე აღიცხული აქტივების უდიდეს ნაწილს უძრავი ქონება წარმოადგენს და მისი ღირებულება არ იცვლება მკვეთრად დროთა განმავლობაში, აღნიშნული გარემოება არ გვაძლევს საშუალებას დასაბუთებულად ვიმსჯელოთ აქტივების ღირებულებაზე.

სს „ბაგრატიონი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

სს ბაგრატიონი-1882-ს ბალანსზე აღრიცხულია 100% წილი შპს „კავკას აგრო“-ში. წილი აღრიცხულია მისი ნომინალური ღირებულებით, 393 000 ლარი, რაც ჩვენი აზრით არ ასახავს აქტივის სამართლიან ღირებულებას.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA ჩოდე”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები, არის ისეთი საკითხები, რომლებიც ჩვენი პროფესიული მსჯელობით იყო ყველაზე მნიშვნელოვანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას. კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი მოიცავდა ასეთ საკითხებსაც და ჩვენ ცალკე მოსაზრებას აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებზე არ გამოვხატავთ.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

სს “ბაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფს არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

- მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალ კომპანიების, თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა გამოგვეხატა მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჯგუფის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის, და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე, და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად. მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან, ჩვენ

სს "ბაგრატიონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

გამოვეყნეთ საკითხებს, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანი და ამდენად, წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან, განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გახსნის უარყოფითი შედეგები სავარაუდოდ.



სს "ბაგრატიონი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვაწაირად არ არის აღნიშნული სადმე)

		არააუდიტირებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
		ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსური ანგარიშგებისთვის დასახელება	შენიშვნა			
მიწა		734,223	734,223	739,18
ძირითადი საშუალებები (წმინდა)		5,666,147	5,666,147	6,042,08
არამატერიალური აქტივები (წმინდა)		89,790	89,790	110,94
ინვესტიცია		1,870,163	1,870,163	2,689,87
ბიოლოგიური აქტივი		2,899,349	2,899,349	2,899,34
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		55,379	55,379	55,37
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,315,052	11,315,052	12,536,82
მარაგები		2,661,909	2,661,909	3,100,81
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		5,497,991	5,497,991	5,597,28
გადახდილი ავანსები		34,946	34,946	34,94
მოთხოვნა სადეპოზიტო ანგარიშიდან		0	0	
საბიუჯეტო აქტივი		0	0	
მისაღები პროცენტი		2,457,847	2,457,847	3,115,80
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		76,390	76,390	40,30
სულ მიმდინარე აქტივები		10,729,083	10,729,083	11,889,14
მთლიანი აქტივები		22,044,135	22,044,135	24,425,97
სააქციო კაპიტალი		(7,413,585)	(7,413,585)	(7,413,585)
გადაფასების რეზერვი		0	0	
გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი		72,013,929	72,013,929	70,393,80
სულ კაპიტალი		64,600,344	64,600,344	62,980,21
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		(33,172,405)	(33,172,405)	(36,341,54)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(33,172,405)	(33,172,405)	(36,341,54)

სს "ბაგრატიონი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	(2,231,878)	(2,231,878)	(3,224,976)
მიღებული ავანსები	0	0	
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	0	0	
საბიუჯეტო ვალდებულება	(500,077)	(500,077)	(466,619)
გადასახდელი პროცენტი	(50,190,749)	(50,190,749)	(46,846,099)
თანამშრომლების წინაშე ვალდებულება	(549,370)	(549,370)	(526,957)
გადასახდელი დივიდენდები	0	0	
ოვერდრაფტი	0	0	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	(53,472,074)	(53,472,074)	(51,064,651)
სულ ვალდებულებები	(86,644,479)	(86,644,479)	(87,406,191)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	(22,044,136)	(22,044,136)	(24,425,974)

სს “ბაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალთინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო №SARAS-F-839053

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული სადმე)

	არააუდიტირებული	აუდიტირებული
	მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შემოსავალი	8,915,606	8,915,606
რელიზეებული პროდუქციის თვითღირებულება	(4,894,841)	(4,894,841)
საერთო მოგება	4,020,765	4,020,765
სხვა შემოსავალი	344,036	344,036
ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი	23,740	23,740
ხელფასის ხარჯი	(1,237,231)	(1,237,231)
იჯარა	(404,982)	(404,982)
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,336,712)	(1,336,712)
ცვეთა და ამორტიზაცია	(496,323)	(496,323)
სხვა ხარჯები	(267,476)	(267,476)
შედეგი საოპერაციო ხარჯებიდან	645,817	645,817
ფინანსური შემოსავალი	611,671	611,671
ძირითადი საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი/ზარალი	5,466,716	5,466,716
ფინანსური ხარჯი	(2,114,940)	(2,114,940)
საკუროსო სხვაობა შემოსავალი/ხარჯი	(5,416,659)	(5,416,659)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(812,728)	(812,728)
მოგება დაბეგვამდე	(1,620,124)	(1,620,124)
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მოგება დაბეგვრის შემდგომ	(1,620,124)	(1,620,124)
სხვა სრული შემოსავალი	0	0
გადაფასების რეზერვი	0	0

სს "ბაგრატიონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

სრული შემოსავლის წლიური ჯამი

(1,620,124)

(1,620,124)

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვაანაირად არ არის აღნიშნული სადმე)

ათასი ლარ

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (არააუდირებული)	7,414	-	(63,854)	(56,440)
გახსნითი კორექტირებები	-	-	-	-
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი			(6,540)	(6,540)
დივიდენდი			-	-
გადაფასების რეზერვი		-		
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (არააუდირებული)	7,414	-	(70,394)	(62,980)
გახსნითი კორექტირებები	-	-	-	-
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი		-	(1,620)	(1,620)
დივიდენდი			-	-
გადაფასების რეზერვი		-		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (აუდირებული)	7,414	-	(72,014)	(64,600)

სს "ბაგრატიონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო №SARAS-F-839053

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვაანაირად არ არის აღნიშნული სადმე)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	ათასი ლარი	
	აუდიტირებული	არაუდიტირებული
	2019	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	(1,620)	(1,620)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	496	496
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება/ზარალი)	(5,467)	(5,467)
საპროცენტო ხარჯი	2,114	2,114
მოგების გადასახადის ხარჯი		
ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი	(24)	(24)
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	5,294	5,294
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	793	793
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	72	72
ცვლილება მარაგებში	439	439
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(993)	(993)
ცვლილება სხვა მოკლევადიან აქტივებში	-	-
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	56	56
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	367	367
გადახდილი პროცენტი	(2,076)	(2,076)
გადახდილი მოგების გადასახადი		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,709)	(1,709)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(388)	(388)

სს "ბაგრატიონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალთინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

არამატერიალური აქტივების შემენა	—	—
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	5,473	5,473
მიღებული პროცენტი	1,242	1,242
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	6,327	6,327
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდი	-	-
შენატანი საწესდებო კაპიტალში	-	-
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,450	5,450
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(10,761)	(10,761)
განხორციელებული ინვესტიციიდან მიღებული სახსრები	729	729
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,582)	(4,582)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	36	36
კურსთა შორის სხვაობა		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	36	36
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	40	40
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	76	76

სს “ბაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალთინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „ბაგრატიონი - 1882“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების – შპს „დრაი ფრუტ ჯორჯია“ და შპს „კავკას აგრო“ – ფინანსურ ინფორმაციას. სს „ბაგრატიონი - 1882“ არის საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: თბილისი, გლდანის რაიონი, სარაჯიშვილის გამზირი #12. სს „ბაგრატიონი - 1882“ ფლობს 65%-იან წილს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დრაი ფრუტ ჯორჯიაში“ და აგრეთვე

სს „ბაგრატიონი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მგდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

100%-იან წილს შპს „კავკას აგროში“.

სს „ბაგრატიონი - 1882“-ის 96,82%-იანი აქციების მფლობელი არის ლუქსემბურგში დაფუძნებული და რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „კორე ინვესტი“, ხოლო აქციების 3,18% ეკუთვნის სხვა აქციონერებს. ჯგუფი ცქრიალა ღვინის მწარმოებელი პირველი სპეციალიზებული საწარმოა საქართველოში და არის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია საქართველოს საცალო ბაზარზე.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯგუფმა 2018 წელს მიიღო ახალი უწყება ფასს 15 ამონაგები მომხამრებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხვისთვის. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების შესახებ იხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით და ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივისა და ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებული დეტალები იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში

სს „ბაგრატიონი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

დამრგვალებულია ათასამდე, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 22-ე შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს ჯგუფმა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ჯგუფის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება გაშლილია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2017 წელს, მათ არ აქვთ მატერიალური ზეგავლენა ჯგუფის წლიურ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული იმ ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ჩამონათვალი, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან და მიღებულია ჯგუფის მიერ, წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	დასახელება	თარიღი
ფასს 9	ფინანსური ინსტრუმენტები (შენიშვნა 3.9)	2018 წლის 1 იანვარი
ფასს 15	ამონაგები მომხამრებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (შენიშვნა 3.14)	2018 წლის 1 იანვარი

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მგდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალთინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

ბასს 28	ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	2018 წლის 1 იანვარი
---------	--	---------------------

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერჯერობით არ მიუღია ჯგუფს.

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და შესაბამისად ჯგუფს ჯერ არ მიუღია.

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შესწორებები: ეფექტურია სააღრიცხვო წლის დასაწყისისთვის ან შემდგომ ფასს 16, იჯარა.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავდა იჯარის აღრიცხვის ახალი სტანდარტი.

(ა) ახალ სტანდარტს არ აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეიჯარეს მიერ იჯარის აღიგებაზე. თუმცა, სტანდარტი მოითხოვს რომ მოიჯარემ ბალანსში იჯარა აღიაროს როგორც საიჯარო ვალდებულება აქტივის გამოყენების უფლებასთან კორესპონდენციაში.

(ბ) მოიჯარე ვალდებულია ყველა იჯარისთვის გამოიყენოს შეფასების ერთნაირი მოდელი, თუმცა მას აქვს უფლება არ აღიაროს იჯარა ფინანსურად მოკლევადიანი იჯარის ან საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულების შემთხვევაში.

(გ) ჩვეულებრივ, აღიარებულ იჯარასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის აღიარების მოდელი მსგავსია დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის, სადაც ფინანსური მდგომარეობის უწყისში საპროცენტო და ცვეთის ხარჯები აღიარებულია განცალკევებულად.

სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ იმავე თარიღისთვის გათვალისწინებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. ფასს 16-ზე გადასვლა შესაძლებელია რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. 2019 წლის 1 იანვარი ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 ციკლი, განახლებები ფასს 3, ფასს 11, ბასს 12 და ბასს 23

ფასიკ 23 ცვალებადობა მოგების გადასახადის მიდგომასთან. ფასიკ 23 ხელმძღვანელობს თუ როგორ აისახება ცვალებადობის ეფექტები მოგების გადასახადის აღრიცხვაში ბასს 12-ის მიხედვით, კერძოდ:

ცვალებადი საგადასახადო მიდგომები ერთობლივად უნდა განიხილებოდეს თუ არა, სს "ბაგრატიონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

დაშვებები საგადასახადო ზედამხედველი პირების მიერ ჩატარებული შემოწმებებისთვის, დასაბეგრი მოგების (ზარალის) განსაზღვრა, საგადასახადო ბაზები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო განაკვეთები და ფაქტებისა და გარემოებების ცვლილების ეფექტი. 2019 წლის 1 იანვარი ცვლილებები ფასს 9-ში, ფინანსური ინსტრუმენტები, დაკავშირებული წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით. აღნიშნული გულისხმობს ფასს 9-ში არსებული მოთხოვნების ცვლილებას შეწყვეტის უფლებასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს ამორტიზებული ღირებულებით შეფასება (ან, ბიზნეს მოდელის მიხედვით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში) უარყოფითი კომპენსაციის შემთხვევაშიც კი. 2019 წლის 1 იანვარი ცვლილება სტანდარტში ბასს 19 დაქირავებულ პირთა კომპენსაციები: ცვლილებები განმარტავს: ჯგუფი იყენებს განახლებულ აქტუარული შეფასების მეთოდს მიმდინარე მომსახურების ღირებულების და პერიდში წმინდა პროცენტის განსაზღვრისთვის და ახდენს აქტივის ზედა ზღვრის იგნორირებას შეთანხმებასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის კალკულაციისას, რაც ცალკე განიხილება სხვა სრულ შემოსავალში 2019 წლის 1 იანვარი ცვლილებები ბასს 28-ში, ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, დაკავშირებული გრძელვადიან წილის ფლობასთან მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. აღნიშნული ცვლილება განმარტავს, რომ საწარმო რომელიც იყენებს ფასს 9-ს, ფინანსური ინსტრუმენტები, გრძელვადიანი წილის ფლობისთვის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში, რომელიც ქმნის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში წმინდა ინვესტიციის ნაწილს, კაპიტალის მეთოდი არ გამოიყენება. 2019 წლის 1 იანვარი

ცვლილებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალურ ჩარჩოში შესწორებების შეტანის თაობაზე – ცვლილებები შემდეგი სტანდარტებისთვის ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს 1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფასიკ 19, ფასიკ 20, ფასიკ 22 და შიჩ-32 ეხება მითითებებსა და ციტატებს ახალი ჩარჩოს შესაბამისად, ან მითითებებს იმის შესახებ, სადაც კონცეპტუალური ჩარჩოს სხვა ვერსია გამოიყენება 2020 წლის 1 იანვარი ცვლილებები ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (2011) დაკავშირებული ინვესტორის მიერ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიმართ რეალიზაციის ან აქტივების სახით შენატანების მოპყრობის შესახებ ფექტური თარიღი ჯერ განუსაზღვრელია. ადრეული მიღება დასაშვებია. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებულ იქნება ჯგუფის საანგარიშო პოლიტიკებში პირველი პერიოდისთვის, ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.6 შვილობილი კომპანიები

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანიები	წილები	დაფუძნების თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს "კავკას აგრო"	100%		
შპს "დრაი ფრუტ ჯორჯია"	65%		

კომპანიის ერთ შვილობილ კომპანიას (შპს "დრაი ფრუტ ჯორჯია") 2017 წლიდან აქტიური ოპერაციები არ ჰქონია.

2.7 ფინანსური ანგარიშგების ცვლილება

ჯგუფს შეაქვს ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში და ასწორებს წინა პერიოდის შეცდომებს, მათი აღმოჩენის შემდეგ რეტროსპექტულად ფინანსური ანგარიშგების თავდაპირველ ვერსიაში. ცვლილებების შეტანა ხდება შემდეგნაირად: გადაანგარიშდება შესადარისი თანხები წინა პერიოდებისთვის, რომლებშიც მოხდა შეცდომა; ან თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ პერიოდში, ხდება აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ბალანსების ცვლილება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ისე თითქოს შეცდომის გასწორება მოხდა იმ პერიოდის განმავლობაში როდესაც ამის აუცილებლობა გაჩნდა. აქედან გამომდინარე, შესწორებული თანხის ოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში რომელშიც ის განხორციელდა.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 საერთო მოსაზრებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს –ის მიერ თითოეული ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯებისთვის განსაზღვრული შეფასების საფუძველზე. შეფასების საფუძველები სრულად არის აღწერილი ქვემოთ მოცემულ საანგარიშგებო პოლიტიკებში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული საანგარიშგებო პოლიტიკები შესაბამისობაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებულ პოლიტიკებთან, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებისა.

3.2 კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის

სს "ბაგრატიონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალთინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე. ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად. ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში. არამაკონტროლებელი წილი არის წილობრივი მონაწილეობა შვილობილ კომპანიებში, რომელიც არ არის ჯგუფის მფლობელობაში. ანგარიშგების თარიღისთვის, არამაკონტროლებელის წილი წარმოადგენს არამაკონტროლებელი აქციონერების წილს შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, შესყიდვის თარიღისთვის, და შესყიდვის თარიღის შემდგომ, უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში. არამაკონტროლებელის მონაწილეობა წარმოდგენილია კაპიტალის მუხლებში. ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე..

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია). მეკავშირე საწარმოებთან დაკავშირებული ტრანზაქციების საფუძველზე წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება გაქვითულია ინვესტიციებთან.

სს "ზაგრატიონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

3.3 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.0701 ლარს. (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და ერთი ევრო 3.1044 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება უცვლელად, ჯგუფი ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო გამოყენების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ვაზის გაშენება წარმოდგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლეად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე.

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების მომდევნო თვიდან. მიწას და ვენახს ცვეთა არ ერიცხება.

სს “ბაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად. წარმოების პროცესში უშუალოდ მონაწილე ძირითად საშუალებებზე ცვეთის დანარიცხი წარმოადგენს საწარმოო ზედნადებ ხარჯს და აღირიცხება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაიყიდა) ან, როგორც სასაქონლო-მატერიალური მარაგები (თუ წარმოებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ გაიყიდა).

3.5 ბიოლოგიური აქტივები და ბიოპროდუქცია

სოფლის მეურნეობის პროდუქცია აღირიცხება ბასს 41-ის „სოფლის მეურნეობა“ თანახმად. ყურძნის მოსავლის აღება, როგორც წესი, ოქტომბერში ხდება. მოსავლის აღებამდე, ყურძნის მოშენების დანახარჯები აღირიცხება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში. მოსავლის აღებისას ყურძენი ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ამიტომ ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით ბასს 41-ის შესაბამისად და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად ყოველგვარი მოგება თუ ზარალი აისახება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების დროისთვის სავარაუდო საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ზოგადად, ჯგუფის ყურძნის ზუსტი საბაზრო ფასით შეფასება შეუძლებელია, რადგან ყურძენი არ იყიდება ღია ბაზარზე, ამიტომ ხელმძღვანელობა ღირებულებას ადგენს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე, წარსულში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ეს შეფასება წარმოადგენს ყურძნის პირობით ღირებულებას, რომელიც მოსავლის აღებისას გადაიტანება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში. ბასს 41-ის მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ასევე ფასდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო და სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სამრეწველო მცენარეები აღირიცხება თვითღირებულებით, ბასს 16-ის „ძირითადი საშუალებები“ შესაბამისად.

3.6 სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალზე. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 5-7 წლით პროგრამებისთვის, უფლებებისა და სხვა მსგავსი არამატერიალური აქტივებისთვის.

სს „ბაგრატიონი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ განიცდიან ცვეთას. ყოველწლიურად ხდება მათი არსებული ღირებულებისა და ამოღებადი თანხის შედარება იმისათვის რომ დადგინდეს გაუფასურებული ხომ არ არის არამატერიალური აქტივი.

3.7 იჯარა

ბას 17-ის შესაბამისად, იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა მოიჯარეს, თუ მას ასევე გადაეცემა იჯარით აღებული აქტივის ყველა რისკი და ვალდებულება. აქტივი აღიარებულია იჯარის კონტრაქტის დაწყებისას იჯარით აღებული აქტივის სამართლიანი ღირებულებით ან, თუ უფრო დაბალია, იჯარის გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულია როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ იჯარით გათვალისწინებული თანხის ნაწილის გადახდა შეიძლება მოხდეს წინასწარ. ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივები შემდგომში ბუღალტრულად აღირიცხება სხვა აქტივების მსგავსად რომლებსაც ფლობს კომპანია. ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება ფინანსური ხარჯებით შემცირებული საიჯარო გადახდებით, რომელიც აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი. საიჯარო გადახდებიდან საპროცენტო ელემენტი განისაზღვრება როგორც პროპორცია კაპიტალის ნაშთიდან და აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში. ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარით აღებულ ქონებაზე გადახდები აღიარებულია წლის ხარჯებში წრფივი მეთოდით, ასევე ხარჯად აღიარდება მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა მომსახურება და სადაზღვევო, როგორც გაწეული ხარჯი.

3.8 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

ნედლეული: შესყიდვის ხარჯი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით;

მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში, მაგრამ ნასესხებ სახსრებზე გაწეული დანახარჯების გამოკლებით სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება, როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

სს "ბაგრატიონი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შემდგომი შეფასება და ჩამოწრა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან ვალდებულება გაუქმდება.

3.9.1 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფმა მიიღო ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, გამოშვებული 2014 წლის ივლისში, რომელიც ეფექტური იყო 2018 წლის 1 იანვრისთვის და ამ თარიღის შემდგომი სააღრიცხვო წლისთვის. ფასს 9-ის მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბასს 39-ისგან ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტის მიხედვით მნიშვნელოვნად იცლება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის ზოგიერთი ასპექტები.

ფასს 9 მოიცავს ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ახალ მოთხოვნებსაც. ახალი მოთხოვნები გულისხმობს ჰეჯირების აღრიცხვის მეთოდის დაახლოებას რისკების მართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან, ჰეჯირებულ საგნებსა და ჰეჯირების ინსტრუმენტებზე არსებული უფლების ზრდით და ჰეჯირების ეფექტიანობის შეფასებისას უფრო მეტად პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.

კლასიფიკაცია და შეფასება ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით (FVOCI) ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალთინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

სასესხო ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL :

- ჯგუფი ფლობს აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია მიიღოს აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და შემდგომ გაყიდოს;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

კაპიტალში წილობრივი ინვესტიციებისთვის, რომლის ფლობის მიზანი არ არის ვაჭრობა, ჯგუფს შეუძლია რეალური ღირებულებით ასახვის შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფმა შეიძლება, ფინანსური აქტივი, შემდგომში შეუცვლელობის პირობით, განსაზღვროს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით როგორც სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარების კრიტერიუმებს, თუ ამით გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა..

ბიზნეს მოდელის შეფასება:

ჯგუფი აფასებს ბიზნესმოდელის, რომელშიც აქტივები ფლობილია პორტფელის დონეზე, მიზანს რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს, იმას თუ როგორ ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის.

საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეფასება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირის და სარგებლის გადახდას:

შეფასების მიზნებისთვის, “ძირი” განიმარტება როგორც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება. სარგებელი კი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

იმის განსაზღვრისას საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და სარგებლის გადახდებს გულისხმობს თუ არა, ჯგუფი ითვალისწინებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ კონტრაქტის პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის განსაზღვრას, ფინანსური აქტივი დაკავშირებულია თუ არა ისეთ საკონტრაქტო პირობასთან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების პერიოდისა და თანხის ოდენობის ცვლილებას.

რეკლასიფიკაცია:

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება:

ჯგუფი ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ გაუსაფურების ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით და გაცემული ვალდებულებითი პირობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ჯგუფმა გაუფასურების ზარალის რეზერი ყოველთვის უნდა შეფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც ზარალის რეზერვი უნდა შეფასდეს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე. მათი შეფასება ხდება შემდეგნაირად:
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც არ არის გაუფასურებული ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის).
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც გაუფასურებულია ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.
- აუთენსიკელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის: როგორც სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც ჯგუფისთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მთლობელი სესხს აითვისებს და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი აფასებს გაუფასურებულია თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ იმ მოვლენათაგან, რომელიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ერთი ან რამდენიმე მაინც მოხდა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

საფუძველზე. ჯგუფი იყენებს რეზერვის შექმნის მოდელს და საშუალო საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევს, როგორც ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების მართვის საკეთესო საშუალებას. ჩამოწერა:

ჯგუფმა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს (ნაწილობრივ ან მთლიანად), თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი ანაზღაურდება. ეს ჩვეულებრივ ის შემთხვევაა, როცა ჯგუფმა ამოწურა ყველა იურიდიული ძალისხმევა ფინანსური აქტივის აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას რათა შესრულდეს ჯგუფის მიერ აღნიშნული თანხების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები.

გაუფასურების წარდგენა:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის ღირებულება აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ფასს-ზე გადასვლა :

ფასს 9-ზე გადასვლისას, ჯგუფს საშუალება აქვს არ გადაინაგარიშოს წინა წლის მონაცემები.

ფასს 9-ზე გადასვლის შედეგად წარმოშობილი სხვაობები დაკავშირებული კლასიფიკაციასთან, შეფასებასთან და გაუფასურებასთან აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის: თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და შემთხვევების გათვალისწინების საფუძველზე გაკეთდა შემდეგი შეფასებები::

- ბიზნესმოდელის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს.

თუ ფინანსურ აქტივს ჰქონდა დაბალი საკრედიტო რისკი ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, მაშინ ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

ფასს 9-ის გამოყენებას ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჯერ არ მოუხდენია.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივის სამ პრინციპულ კლასიფიკაციას: შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით, შეფასებას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL). ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დამოკიდებულია იმ ბიზნესმოდელზე, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივს ფლობს. ფასს 9 გამორიცხავს ბასს 39-ის მიხედვით განსაზღვრულ კატეგორიებს დაფარვის ვადების, სესხების და მოთხოვნების და გასაყიდად გამიზნული აქტივების კლასიფიკაციით. ამასთან ფასს 9 დიდწილად ინარჩუნებს ბასს 39-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ.

სს "ბაგრატიონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

ფასს 9-ის მიღებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის, ფასს 9-ზე გადასვლისას გაუფასურების ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ფასს 9-ზე გადასვლას გავლენა არ მოუხდენია რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების საწყის ღირებულებებზე.

3.9.2 ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

3.9.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთობლივი განხორციელების შესახებ.

3.10 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდივნები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ამ აქტივს არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.11 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ. სააქციო კაპიტალის წარდგენილი ნაშთი წარმოადგენს აქციების ნომინალურ ღირებულებას, რომელიც მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია მშობელ კომპანიასთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მშობელი კომპანიის რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.12 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული

სს "ზაგრატიონი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

3.13 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბასის საფუძველზე, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.14 შემოსავლის აღიარება

მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ასრულებს აღებულ ვალდებულებას, ანუ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მყიდველს - ჩვეულებრივ, საქონლის ჩაბარების დროს.

მზა პროდუქციის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება. მზა პროდუქციის გაყიდვიდან ამონაგების აღიარება ხდება გარიგების წმინდა ფასით, რომელიც ასახავს მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხის კორექტირებებს (ფულადი თანხები, რომლებსაც ჯგუფი უხდის ან მოელის, რომ გადაუხდის მომხმარებელს) და მოცულობის გამო ფასდაკლებებს.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო

სს “ზაგრატიონი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

სულ მიმდინარე აქტივები		10,729,083	11,889,148
მთლიანი აქტივები		22,044,135	24,425,974
სააქციო კაპიტალი		-7,413,585	-7,413,585
გადაფასების რეზერვი		0	0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		72,013,929	70,393,803
სულ კაპიტალი		64,600,344	62,980,218
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		-33,172,405	-36,341,540
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-33,172,405	-36,341,540
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		-2,231,878	-3,224,976
მიღებული ავანსები		0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულება		0	0
საბიუჯეტო ვალდებულება		-500,077	-466,619
გადასახდელი პროცენტი		-50,190,749	-46,846,099
თანამშრომლების წინაშე ვალდებულება		-549,370	-526,937
გადასახდელი დივიდენდები		0	0
ოვერდრაფტი		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		-53,472,074	-51,064,651
სულ ვალდებულებები		-86,644,479	-87,406,191
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		-22,044,136	-24,425,974



Handwritten signature.

სს ბაგრატიონი-1882


აუდიტი: 31/12/2019

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვანაირად არ არის აღნიშნული სადმე)

მოგება-ზარალისა და სხვა
სრული შემოსავლის
ანგარიშება 2019 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

შემოსავალი	
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8,915,606
საფართო მოგება	-4,894,841
	4,020,765
სხვა შემოსავალი	
ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი	344,036
ხელფასის ხარჯი	23,740
იჯარა	-1,237,231
ადმინისტრაციული ხარჯები	-404,982
ცვეთა და ამორტიზაცია	-1,336,712
სხვა ხარჯები	-496,323
შედეგი საოპერაციო ხარჯებიდან	-267,476
	645,817
ფინანსური შემოსავალი	
	611,671
ძირითადი საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი/ზარალი	5,466,716
ფინანსური ხარჯი	
საკუთრო სხვაობა შემოსავალი/ხარჯი	-2,114,940
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-5,416,659
მოგება დაბეგვრამდე	-812,728
	-1,620,124
მოგების გადასახადის ხარჯი	0
მოგება დაბეგვრის შემდგომ	-1,620,124
სხვა სრული შემოსავალი	
გადაფასების რეზერვი	0
სრული შემოსავლის წლიური კამი	0
	-1,620,124



ს. ბაგრატიონი

6.12.19

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

საკუთარი კაპიტალის მფლობელების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ერთეულ ვალუტაში თუ სხვაინარად არ არის აღნიშნული სადმე)

საბუღალტრო კაპიტალი				
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (არაუდიტირებული)	გადატანების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი	
გაბნეული კორექტირებები	7,414		(63,875)	(56,461)
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	-	-
დოვიდენდი	-	-	(6,566)	(6,566)
გადატანების რეზერვი	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (აუდიტირებული)	7,414		(70,441)	(63,027)
გაბნეული კორექტირებები	-	-	-	-
კაპიტალის გაზრდა	-	-	-	-
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	-	-	-	-
დოვიდენდი	-	-	(1,663)	(1,663)
გადატანების რეზერვი	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (აუდიტირებული)	7,414		(72,104)	(64,690)

Handwritten signature



Handwritten signature

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2019

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვანაირად არ არის აღნიშნული სადმე).

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	ათასი ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2019
წლის მოგება	(1,620)
კორექტირება:	
ცვთა და ამორტიზაცია	496
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება/ზარალი)	-5,467
საპროცენტო ხარჯი	2,114
მოგების გადასახადის ხარჯი	
ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი	(24)
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	5,294
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	793
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	72
ცვლილება მარაგებში	439
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში	(993)
ცვლილება სხვა მოკლევადიან აქტივებში	-
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	56
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	367
გადახდილი პროცენტი	(2,076)
გადახდილი მოგების გადასახადი	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,709)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	
არამატერიალური აქტივების შეძენა	(388)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	
მიღებული პროცენტი	5,473
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,242
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	6,327
გაცემული დივიდენდი	
მენატანი საწესდებო კაპიტალში	-
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	-
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	3,450
განხორციელებული ინვესტიციიდან მიღებული სახსრები	(10,761)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	729
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	(4,582)
კურსთა შორის სხვაობა	36
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	36
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	40
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	76



Handwritten signature or initials.

სააქციო საზოგადოება „ბაგრატიონი 1882“

მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული

სს „ბაგრატიონი 1882“-ის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს როგორც თავად სს „ბაგრატიონი 1882“-ის, ასევე მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებს.

სს „ბაგრატიონი 1882“-ის შვილობილი კომპანიებია:

- შპს „კავკას აგრო“ –ს/კ 205107061, მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, დ/დიდოძი ი.პეტრინის ქ.7 ბ.24;
- შპს „დრაი ფრუტ ჯორჯია“ - ს/კ 400065095, მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, სარაჯიშვილის გამზ.12;

თავად სს „ბაგრატიონი 1882“, ს/კ 209437885, მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, სარაჯიშვილის გამზ.12, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირების საქმიანობის სფეროს შეადგენს: მევენახეობა, ყურძნის მოყვანა-გადამუშავება, ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ცქრიალა ღვინის წარმოება-რეალიზაცია.

1. კომპანიის დაარსების ისტორია

ს.ს. ბაგრატიონი 1882 ცქრიალა ღვინის მწარმოებელი პირველი სპეციალიზებული საწარმოა საქართველოში. იგი 1937 წელს დაარსდა. დღესდღეობით კომპანია საქართველოს ცქრიალა ღვინის ბაზრის ლიდერია.

კომპანიის სახელწოდება ქართველ მეფეთა შთამომავლის, თავად ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის სახელს უკავშირდება, რომელმაც XIX საუკუნის მიწურულს ქართული ცქრიალა ღვინის წარმოება ფრანგული ბოთლური მეთოდით დაიწყო. სწორედ აქედან იღებს დასაბამს ქართული ცქრიალა ღვინის საუკუნოვანი ისტორია. მსოფლიო აღიარება ამ პროდუქციამ პირველად 1882 წელს სანკ-პეტერბურგში მოიპოვა, სადაც საერთაშორისო გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო – გრან-პრი დაიმსახურა. ახლა, 125 წლის შემდეგ, "ბაგრატიონი 1882" დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე, არამედ მთელ კავკასიაში.

შავი ზღვის პირას მდებარე, კავკასიონის მთებით გარშემორტყმული საქართველო მეღვინეობისა და მევენახეობის სამშობლოა. კომპანია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ქართული ღვინის კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებას. პროდუქციის ხარისხისადმი ესოდენ მაღალი მოთხოვნა სწორედ ამის დასტურია.

ბაგრატიონი 1882-ის ქარხანა მთლიანად მოდერნიზებულია, აღჭურვილია უახლესი იტალიური დანადგარებით. ღვინის შამპანიზაცია წარმოებს როგორც ბოთლური, ასევე რეზერვუარული მეთოდით.

განვითარებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად ბაგრატიონი 1882-ს აქვს საკუთარი ვენახები საქართველოს ყველაზე პრესტიჟულ მიკროზონებში, იმერეთისა და ქართლის რეგიონებში.

გამოცდილებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმა შესანიშნავი წინაპირობაა საუკეთესო, განუმეორებელი გემოს მქონე ცქრიალა ღვინის დასამზადებლად.

1997 წლის 6 აგვისტოს შემდეგ, როდესაც მოხდა კომპანიის პრივატიზება, კომპანიას შეეცვალა იურიდიული ფორმა და გახდა სააქციო საზოგადოება. დღეის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები არიან როგორც საქართველოს რეზიდენტი ისე არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირები.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრებას. რომელიც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხორციელდება

დირექტორის დანიშვნა. წესდების მიხედვით განხორციელებული კომპანიის მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. რომელიც წარმოდგენილია სამი წევრით:

თამაზ დავლიანიძე (პ.ნ 01017006916)-სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე;

დავით მამფორია (პ.ნ 01026007117) -სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

ზვიად ხურცილავა (პ.ნ 01017022254) -სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

კომპანიას დაარსების დღიდან დომინანტური ადგილი უჭირავს საქართველოს ბაზარზე. კვლევები აჩვენებს რომ ბოლო წლების მიხედვით კომპანიას უკავია ადგილობრივი ბაზრის 75-80%. კომპანიას პროდუქცია გააქვს ექსპორტზე თორმეტ ქვეყანაში მათ შორის ძირითადი ექსპორტიორი ქვეყანა არის უკრაინა. ბოლო სამი წლის განმავლობაში უკრაინაში ექსპორტს უჭირავს კომპანიის მთლიანი ექსპორტის 80-82%.

რაც შეეხება სამომავლო განვითარებას, კომპანიის ძირითადი მიზნებია:

- ადგილობრივ ბაზარზე ლიდერის პოზიციის შენარჩუნება და განმტკიცება;
- უკრაინის ბაზარზე მზარდი ტენდენციის შენარჩუნება;
- ბრენდის ცნობადობის გაზრდა აშშ-სა, კანადაში ,ჩინეთში და სხვა საექსპორტო ბაზრებზე

კომპანიის საბალანსე უწყისები 2019 წლის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება („ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება“) მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

საზოგადოების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით:

ფინანსური ანგარიშგებისთვის დასახელება	მენიშვნა	ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მინა		734 223	739 184
ძირითადი საშუალებები (წმინდა)		5 666 147	6 042 088
არამატერიალური აქტივები (წმინდა)		89 790	110 949
ინვესტიცია		1 870 163	2 689 877
ბიოლოგიური აქტივი		2 899 349	2 899 349
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		55 379	55 379
სულ გრძელვადიანი აქტივები		11 315 052	12 536 826
მარაგები		2 661 909	3 100 816
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		5 497 991	5 597 282
გადახდილი ავანსები		34 946	34 946
მოთხოვნა სადეპოზიტო ანგარიშიდან		0	0
საბიუჯეტო აქტივი		0	0
მისაღები პროცენტი		2 457 847	3 115 804
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		76 390	40 301
სულ მიმდინარე აქტივები		10 729 083	11 889 148
მთლიანი აქტივები		22 044 135	24 425 974
სააქციო კაპიტალი		(7 413 585)	(7 413 585)
გადაფასების რეზერვი		0	0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		72 013 929	70 393 803
სულ კაპიტალი		64 600 344	62 980 218
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		(33 172 405)	(36 341 540)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(33 172 405)	(36 341 540)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		(2 231 878)	(3 224 976)
მიღებული ავანსები		0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულება		0	0
საბიუჯეტო ვალდებულება		(500 077)	(466 619)
გადასახდელი პროცენტი		(50 190 749)	(46 846 099)
თანამშრომლების წინაშე ვალდებულება		(549 370)	(526 957)
გადასახდელი დივიდენდები		0	0
ოვერდრაფტი		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(53 472 074)	(51 064 651)
სულ ვალდებულებები		(86 644 479)	(87 406 191)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		(22 044 136)	(24 425 974)

	მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შემოსავალი	8 915 606
რელიზ ებუ ლი პროდუქციის თვითღირებულება	(4 894 841)
საერთო მოგება	4 020 765
სხვა შემოსავალი	344 036
ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული შემოსავალი	23 740
ხელფასის ხარჯი	(1 237 231)
იჯარა	(404 982)
ადმინისტრაციული ხარჯები	(1 336 712)
ცვეთა და ამორტიზაცია	(496 323)
სხვა ხარჯები	(267 476)
შედეგი საოპერაციო ხარჯებიდან	645 817
ფინანსური შემოსავალი	611 671
ძირითადი საშუალებებიდან მიღებული შემოსავალი / ბარალი	5 466 716
ფინანსური ხარჯი	(2 114 940)
საკუთრის სხვაობა შემოსავალი / ხარჯი	(5 416 659)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(812 728)
მოგება დაზღვევამდე	(1 620 124)
მოგების გადასახადის ხარჯი	0
მოგება დაზღვევის შემდგომ	(1 620 124)
სხვა სრული შემოსავალი	0
გადაფასების რეზერვი	0
სრული შემოსავლის წლიური ჯამი	(1 620 124)

2. ღვინის წარმოებისა და დისტრიბუციის სექტორი

ცქრიალა ღვინის წარმოებისა და დისტრიბუციის სექტორი მიმოხილვა

საქართველოს მეღვინეობის 8,000 წლიანი ისტორია აქვს და აქ ყურძნის 500-ზე მეტი უნიკალური ჯიშის ხარობს. ღვინის წარმოებისთვის ხელსაყრელი კლიმატის წყალობით, საქართველო არ ჩამოუვარდება მეღვინეობით განთქმულ ზოგიერთ ქვეყანას - საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და სხვა. დღეისათვის კომერციული მიზნით მოჰყავთ დაახლოებით ყურძნის 40 ადგილობრივი სახეობა. მათგან ყველაზე პოპულარულია საფერავი (წითელი) და რქანიტელი (თეთრი) - რომლებიც განაწილებენ ინარმოება საერთაშორისო ბაზარზე აღიარებული და მოთხოვნადი ქართული ღვინოები - ქინძმარაული, მუკუზანი და წინანდალი. ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში საქართველოში წარმოებული ღვინო ძირითადად რუსულენოვან ქვეყნებში გადიოდა ბაზარზე. ამის გამო ნახევრად ტკბილი ღვინოები, რომლებზეც საქართველოში დიდი მოთხოვნა არ არის, ქართული ღვინის ექსპორტის

დაახლოებით ნახევარს შეადგენდა. ცქრიალი ღვინის წარმოებისთვის ძირითადად გამოიყენება ყურძნის ჯიშები „ჩინებული“ „გორული მწვანე“ და „თაკვერი“, რომელიც გავრცელებულია ქართლის რეგიონში, ასევე ყურძენი „ციცქა“ რომლის განვითარების არეალია იმერეთი. ჩვენ კომპანიას ორივე ამ რეგიონში აქვს საკუთარი ვენახები სადაც მოყავს მაღალი ხარისხის ნედლეული რაც განაპირობებს ჩვენი პროდუქტების მაღალ ხარისხს და კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე.

ქართული ღვინის ექსპორტ-იმპორტი

საქართველოში რეგისტრირებული მეღვინეები მეტწილად ექსპორტზე არიან ორიენტირებულები. 2016 წელს დაახლოებით 41 მილიონი ლიტრი ღვინო იყო წარმოებული, 2017 წელს წარმოება 50 მილიონ ლიტრამდე გაიზარდა. 2016 და 2017 წლებში ექსპორტმა საქართველოში წარმოებული ღვინის 80% და 90% შეადგინა. 2016 წელს ქართული ღვინის ექსპორტის დაახლოებით 80% ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე მოდიოდა. რუსეთი წარმოადგენდა ყოფილ საბჭოთა კავშირში ექსპორტის უდიდეს ნაწილს და მასზე 2016 წლის მთლიანი ექსპორტის 55% მოდიოდა. ჩინეთი ქართული ღვინის სიდიდით მესამე (მთლიანი ექსპორტის 10.63%) და ყველაზე სწრაფად მზარდი საექსპორტო ბაზარია (2015 წლიდან 2016 წლამდე ექსპორტი 98.3%-ით გაიზარდა) უკრაინის შემდეგ, რომლის წილი მთლიან ექსპორტში 11.6%-ია. ვინაიდან წარმოებული ღვინის 49.3%-ის ექსპორტი რუსეთში ხდება, ეს სფერო დიდად არის დამოკიდებული რუსული ბაზრის ტენდენციებზე და რაც პოლიტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარე დიდი რისკის შემცველია და დარგის სწორი განვითარებისათვის აუცილებელია ბაზრების დივერსიფიცირება და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება.

საქართველოში იმპორტირებული ღვინის წილი ყოველთვის დაბალი იყო და ამ დინამიკის შეცვლა უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი. საქსტატის მიხედვით, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს იმპორტირებული ღვინის ღირებულებამ 1.8 აშშ დოლარი შეადგინა.

ისევე როგორც ქართული ღვინის ცქრიალა ღვინის ფასებიც იმ ქვეყნის შესაბამისად მერყეობს, რომელშიც ღვინის იმპორტი ხდება. ზოგადად, ქართული ღვინო შედარებით იაფია დსთ-ის/პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, რადგან აქ ტრანსპორტირების ხარჯი უფრო დაბალია და უპირატესობას ნახევრად ტკბილ ცქრიალა ღვინოს ანიჭებენ. მომხმარებლებს შორის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის დონე მერყეობს, მაგრამ, ზოგადად, ქართული ღვინო დსთ-ის ბაზრებზე მასობრივი მოხმარების პროდუქტია, ხოლო ევროკავშირში, ჩრდილო ამერიკასა და აზიაში - პრემიუმ კლასის პროდუქტი, სადაც ძირითადად დაცული ადგილწარმოშობის დასახელების საფერავი და მშრალი თეთრი ღვინოები იყიდება და ცქრიალა ღვინის რეალიზაცია დამატებით მარკეტინგულ ხარჯებს მოითხოვს. ევროკავშირის ქვეყნებში ქართულ ღვინოს, ახალგეულანდიური და არგენტინული ღვინის მსგავსად, მაღალი ფასი აქვს. ავსტრალია, ჩილე, სამხრეთი აფრიკა და აშშ ევროპაში ღვინის მთავარი ექსპორტიორები არიან და, დაბალი საწარმოო თვითღირებულების გამო, განსაკუთრებით კონკურენტულები არიან დაბალი და საშუალო ფასის სეგმენტში.

პერსპექტივა და ზრდის ძირითადი ფაქტორები

საქართველოში ცქრიალა ღვინის გაყიდვების ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორებია:

- ბოლო პერიოდის სტატისტიკის მიხედვით საქართველოში იზრდება ჩამოსხმულ (ბოთლის) ღვინოზე მოთხოვნა რაც ძირითადად განპირობებულია ადგილობრივ ბაზარზე ტურისტების მზარდი რაოდენობით და ადგილობრივი მომხმარებლების გემოვნების შეცვლით. აღნიშნული ფაქტორი დიდწილად განაპირობებს ბოლო წლებში ადგილობრივი ცქრიალა ღვინის ბაზრის შემცირებას.
- ექსპორტის ზრდის პოტენციალი. ღვინის წარმოების სექტორი საქართველოს ეკონომიკის მომგებიანი ნაწილი ხდება. ღვინის ექსპორტის ღირებულება 2019 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, 9%-ზე მეტით გაიზარდა. ღვინო მთლიანი ქართული ექსპორტის 7%-ს შეადგენს და სექტორი შემდგომი გაფართოების მნიშვნელოვან პოტენციალს ავლენს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება დიდ შესაძლებლობას აძლევს არა მარტო ღვინის არამედ მთლიანად ქართული პროდუქციის ექსპორტს. მზარდი მოთხოვნის გარდა, წარმოების გაზრდის დიდი პოტენციალი არსებობს მევენახეობის სპეციალისტების დახმარებით ვენახების ხელახლა გაშენებით და მოსავლის გაუმჯობესებით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2017 წლის 13 მაისს საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შედეგად, ჩინეთის ბაზარზე 2018 წლის იანვარში ამ შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ გაყიდვები შეიძლება გაორმაგდეს.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

3.1 საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები

მაკროეკონომიკური პირობები

კომპანია ძირითადად საქართველოში საქმიანობს და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიის მთლიანი ამონაგების 56% მის ქართულ ოპერაციებზე მოდის. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები.

IMF-სა და საქსტატის ინფორმაციით მშპ-ს რეალურმა ზრდამ 2019 წელს შეადგინა 5.12%. სების მიხედვით, აღნიშნული ზრდა სსფ-ს 4.6 პროცენტიან პროგნოზს აღემატება. 2019 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა რეკორდულად დაბალ მაჩვენებლამდე, მშპ-ს 4.4%-მდე. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მიუხედავად დაკრედიტების ზრდის ტემპი

შენარჩუნდა. შემოსავლების ზრდამ შესაძლებელი გახადა სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა რეკორდულ მაჩვენებლამდე (მშპ-ს 8 პროცენტამდე) ისე, რომ ფისკალური დეფიციტი არ გაზრდილა და მშპ-ს 2.1% შეადგინა. საქსტატის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით 2019 წელს საქონლის ექსპორტი 12.3%-ით გაიზარდა. ევროკავშირში ექსპორტი 12.13%-ით გაიზარდა, დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტი 20.3%-ით, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში შემცირდა – 1.4%-ით. ამავე პერიოდში საქონლის იმპორტი 0.16%-ით გაიზარდა, რაც გაუმჯობესებულ მოხმარებაზე მეტყველებს.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, შემოსავლებმა ტურიზმიდან 2019 წელს 6.7%-იან წლიურ ზრდას მიაღწია, ხოლო კერძოდ სასურსათო სექტორში, როგორც არარეზიდენტი ასევე რეზიდენტი ტურისტებისგან შემოსავალში დაფიქსირდა 4.8%-იანი ზრდა. სების ინფორმაციით, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით ასევე გაუმჯობესდა უცხო ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების შემოდინების მოცულობა 10%-ით. საქსტატის მიხედვით, საქართველოში რეალური მშპ-ის ზრდა 2019 წელს შემცირდა 0.1 პუნქტით და შეადგინა 4.7%, 2018 წლის 4,8%-იან ზრდასთან შედარებით.

COVID-19 ურთულესი გამოწვევა და საფრთხეა როგორც ჯანდაცვის სისტემისთვის, ისე მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკისთვის. მისი გავლენის შეფასება ამ ეტაპზე რთულია გამომდინარე იქიდან, რომ პანდემია ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესშია. საქართველოში რეგულაციები შემსუბუქდა და ეტაპობრივად მოიხსნა მაისიდან. შიდა ტურიზმი ივნისიდან განახლდა. აღნიშნული იძლევა პოზიტიური მოლოდინების ფორმირების საშუალებას.

COVID 19-ზე საპასუხოდ საკონტროლო და პრევენციული ზომების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე მაღალია. ევროპული ბიზნეს ასოციაციის მიერ ქართულ ბიზნეს გარემოზე პანდემიის გავლენის შესაფასებლად ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსალოდნელია, რომ ბიზნეს ერთეულების შემოსავლები 2020 წლის პირველ ნახევარში შემცირდება. თუმცა მაღალია იმ კომპანიების წილი, რომლებმაც არ იციან თუ რა გავლენა ექნება კრიზისს მათ ბიზნესზე. ბიზნესების უმეტესობა ვერ თანხმდება ზუსტად რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას. ასეთი მასშტაბური სახის კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და მათ მსგავს გამოწვევებთან გამკლავების გამოცდილება არ გააჩნიათ.

სამომავლოდ, თიბისი კაპიტალის თანახმად, სავალუტო დანაკლისის გაზრდაა მოსალოდნელი. ამასთან ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურება ნაკლებად სავარაუდოა, გამომდინარე იქიდან, რომ ვალუტის მიწოდება ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიერ განხორციელდება. დამატებით, მაისის პროგნოზთან შედარებით ინფლაციის მოლოდინები შემცირებულია 5.0%-დან 4.5%-მდე. ასევე 8.0%-დან 7.75%-მდეა შემცირებული და რეფინანსირების განაკვეთის მოლოდინები.

აღნიშნული მოლოდინები და რეგულაციები ზრდის კომპანიის დანახარჯებს რაც ნაწილობრივ გამოწვეულია კურსის მერყეობით და ნაწილობრივ მთავრობის რეკომენდაციების შესრულებით.

ვალუტის მერყეობა

კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნესგარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო. საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი ხარისხის გამო, კომპანიის მომხმარებლების მყიდველობით უნარზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ვალუტის მერყეობამ, კერძოდ, ლარის გაუფასურებამ დოლარისა და ევროს მიმართ.

ამასთან, კომპანიას საერთაშორისო და ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ სასესხო დავალიანება აქვს, რომელიც თითქმის სრულად მიბმულია უცხოურ ვალუტებზე (ძირითადად, აშშ დოლარზე). 2017 წელს ლარი 2,1%-ით გამყარდა, ხოლო 2018

წელს 3.25%-ით გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ; 2017 წელს ევროს მიმართ ლარი 11,1%-ით გაუფასურდა, ხოლო 2018 წელს 1.1%-ით გამყარდა. ლარის შემდგომი გაუფასურება გაზრდის კომპანიის საპროცენტო ხარჯებს და სხვა დანახარჯებს.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობს ვალუტის ცვალებადობის ეფექტის მინიმუმამდე დაყვანას, ასეთმა ცვალებადობამ შეიძლება მის შედეგებზე გავლენა იქონიოს. ანგარიშის თარიღისთვის ლარის კურსმა თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია (2020 წლის 29 სექტემბერი), სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ლარი/აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 3.3203 ლარი = 1.00 აშშ დოლარი იყო, ხოლო სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ლარი/ევროს ოფიციალური გაცვლითი კურსი 3.8708 ლარი = 1.00 ევრო.

საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური განვითარების შეფერხებამ და ვალუტის გაუფასურებამ გამოიწვია გასულ პერიოდებში საქართველოდან ექსპორტისა და საქართველოში ფულადი გადარიცხვების შემცირება. საქართველოს მეზობელ ბაზრებზე ეკონომიკური დაღმავლობა ან კრიზისი თუ გაგრძელება ან წარმოიშობა, ეს არსებით უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე და პერსპექტივებზე.

საქართველოს ესაზღვრება რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი და მის საზღვრებში მოქცეულია ორი სეპარატისტული ტერიტორია - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება უარყოფითად მოქმედებს მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებზე. 2006 წელს რუსეთმა საქართველოზე სანქციები დააწესა და 2008 წელს ქვეყნებს შორის კონფლიქტის ესკალაცია მოხდა, როდესაც რუსულმა ძალებმა გადაკვეთეს საერთაშორისო საზღვარი და საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. საფრანგეთის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიუხედავად, რომლის მიხედვითაც რუსული სამხედრო ძალები ქვეყნიდან უნდა გასულიყო, რუსეთმა აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა და ვითარება დაძაბული დარჩა. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებამ და 2017 წლის თებერვალში ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის ინიციატივის დამტკიცებამ შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს ამ ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობა. რუსეთ-უკრაინის გეოპოლიტიკური ურთიერთობა 2013 წელს დაწყებული კრიზისის მერე დაძაბული რჩება. აშშ-ის და ევროკავშირის (და სხვა ქვეყნების) სანქციები რუსეთის მიმართ გრძელდება და გაურკვეველია, როდის და როგორ გადაიჭრება კონფლიქტი რუსეთსა და უკრაინას შორის. პოლიტიკური გარემო თურქეთში დაძაბული რჩება 2016 წლის განმავლობაში თურქეთში მომხდარი სამოქალაქო არეულობის შემდეგ. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო თურქეთის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც რეფერენდუმის გზით დამტკიცდა. ცვლილებები პრეზიდენტს მეტ უფლებებს ანიჭებს და შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თურქეთში პოლიტიკურ სტაბილურობაზე. რეგიონში შემდგომმა გეოპოლიტიკურმა უთანხმოებამაც განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოზე.

შეიძლება გარკვეული სირთულეები ახლდეს საქართველოს ნორმატიული ბაზის მისადაგებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის („DCFTA“) შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და შეიქმნა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირთან ვაჭრობის ორმხრივ ლიბერალიზაციას. როგორც მოსალოდნელია, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება შექმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება გარკვეული გამოწვევების წინაშე დააყენოს იურიდიული თუ ფიზიკური პირები და სახელმწიფო. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ და DCFTA-მ შეიძლება საჭირო გახადოს საქართველოს მხრიდან ევროკავშირის ვაჭრობასთან დაკავშირებული და სექტორისთვის განკუთვნილი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც გარკვეულ სირთულეებს შექმნის, განსაკუთრებით, გარემოს დაცვის (პროდუქტის და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით) და მომხმარებელთა უსაფრთხოების საკითხში.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, მას თავისი სავაჭრო კანონმდებლობა თანდათან შესაბამისობაში მოჰყავს ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელ ნორმატიულ ცვლილებებს შორისაა 2013 წლის ცვლილებები შრომის კოდექსში, რითაც საქართველოს შრომითი რეგულაციები მიუახლოვდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით და DCFTA-ით აღებულ ვალდებულებებს. ამ ცვლილებების მიხედვით, დამსაქმებლებს ევალებათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის გაზრდა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), იზრდება დასაქმებულების უფლებები დამსაქმებლების გადანაცვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, იკრძალება საფუძვლიანი მიზეზის გარეშე სამსახურიდან დათხოვნა და გარანტირებულია საბაზისო სამუშაო პირობები. ცვლილებებმა ასევე გაამკაცრა კონკურენციის კანონი საქართველოში, რომელსაც შეუძლია შეზღუდოს ჯგუფის უფლება, მოახდინოს დამატებითი შეზღუდვები თავისი ბრდის სტრატეგიის შესაბამისად. აგრეთვე აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად გამკაცრდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები და 2019 წლის 1 სექტემბრიდან ყველა საწარმოს მიუხედავად საქმიანობის სფეროსი, ევალება უსაფრთხოების თანამშრომლის ყოლა, რაც დამატებით ხარჯებსა და სირთულეებს იწვევს ბიზნესისთვის.

სახელმწიფო პოლიტიკაში სხვა ცვლილებებიცაა მოსალოდნელი, მათ შორის ცვლილებები ადრე გამოცხადებული სახელმწიფო ინიციატივების განხორციელებასა თუ მიდგომებში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება შეიძლება მნიშვნელოვან ტვირთად დააწევს მარეგულირებელ ორგანოებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებს მოსწევითოს და შეაფერხოს მათი ეფექტიანობა.

საქართველოში საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, შესაძლოა კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები და შეიძლება ცვლილებები შევიდეს მიმდინარე საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.

საგადასახადო კანონები საქართველოში შედარებით ახალი დანერგულია, უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით. ეს ქმნის გარკვეულ გამოწვევებს საგადასახადო კანონების შესრულებასთან დაკავშირებით იმდენად, რამდენადაც ასეთი საგადასახადო კანონები არ არის გასაგები ან ეჭვმდებარება სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას და კომპანიებს აკისრებს რისკს იმისა, რომ მათი მხრიდან კანონის შესრულების მცდელობას საგადასახადო ორგანოები ეჭვქვეშ დააყენებენ. საგადასახადო კანონის აღსრულება ასევე შეიძლება არაპროგნოზირებადი იყოს. ამის მაგალითია კომპანიის აქტივებზე ყადაღის დადება.

ამასთან, ეს საგადასახადო კანონები ეჭვმდებარება შესწორებებსა და ცვლილებებს, რამაც შეიძლება დამატებითი სირთულეები შეუქმნას ბიზნესკომპანიებს. 2011 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი („საგადასახადო კოდექსი“). 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რომლითაც აიკრძალა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება ან არსებული განაკვეთების ზედა ზღვრის გაზრდა (გარდა აქციზისა) საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული რეფერენდუმის გზით (გარკვეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა).

საგადასახადო კოდექსის ამა თუ იმ დებულების სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს თავად სამინისტროებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კონფლიქტის საფუძველს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსი საქართველოს საგადასახადო ორგანოებს ავალდებულებს წინასწარი საგადასახადო დასკვნის გაცემას გადასახადის გადამხდელების მიერ მოთხოვნილ საგადასახადო საკითხებზე. მართალია, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია შესაბამისობაში არის საგადასახადო კანონებთან, შესაძლებელია, შესაბამისმა ორგანოებმა მათი ინტერპრეტაციისგან განსხვავებული პოზიცია დაიკავონ და შედეგად, ჯგუფს ან მის წევრებს დააკისრონ დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები. ასევე არსებობს იმის რისკი, რომ კომპანიას დაეკისროს ჯარიმები ან საურავები რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად, რაც განხორციელდა კიდევ კომპანიის შემოწმების შემდეგ და რომლის შესახებაც მიმდინარეობს დავა შემოსავლების სამსახურთან.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სანარმოს არ დაევალება მოგების გადასახადის გადახდა, სანამ იგი არ გაანაწილებს მოგებას მფლობელებზე ან გასწევს ასეთ დანახარჯებს ან განახორციელებს ისეთ მიწოდებას ან გადახდას, რომელიც ეჭვმდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. როგორც მოსალოდნელია, ეს ცვლილება გაააქტიურებს ეკონომიკურ საქმიანობას და გაზრდის კერძო სექტორის კაპიტალიზაციას. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ ეხება გარკვეულ ფინანსურ ინსტიტუტებს, მათ შორის ბანკებსა და სადამზღვრო ორგანიზაციებს (ცვლილებები ფინანსურ ინსტიტუტებს, მათ შორის ბანკებსა და სადამზღვრო კომპანიებს 2019 წლის 1 იანვრიდან შეეხება). თუმცა არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ეს ცვლილებები სასურველ შედეგს გამოიღებს.

კომპანია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს ხელმძღვანელი პირებისა და

კვალიფიციური თანამშრომლების აყვანას და შენარჩუნებას.

წამყვანი ხელმძღვანელობის ამჟამინდელ გუნდში შედიან პირები, რომელთა, კომპანიის აზრით, მნიშვნელოვანი გამოცდილება და კომპეტენცია აქვთ. იმას, თუ რამდენად შესძლებს კომპანია შეინარჩუნოს, წაახალისოს და მოიზიდოს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობისთვის. არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შესძლებს საჭირო კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას. ხელმძღვანელობის წამყვანი გუნდის შემცირება ან მისი წევრების დაკარგვა, საჭირო სპეციალისტების მოზიდვის, გადამზადების ან შენარჩუნების თვალსაზრისით მარცხი, უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და პერსპექტივებზე.

განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე გემოქმედების შესახებ

უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენს სამუშაოსთან დაკავშირებული უბედური და ფატალური შემთხვევები საწარმოო ობიექტების გარეთ ხდება, როცა ადამიანები მოგზაურობენ ან ჩვენი პროდუქციის დისტრიბუციით არიან დაკავებული. გარემოში, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან დაზღვეული არ ვართ. ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად გადავჭრათ უსაფრთხოების საკითხი არა მხოლოდ წარმოების ობიექტებზე, არამედ მთელი კომპანიის მასშტაბით.

ჩვენი ცქრილა ღვინო ბუნებრივი პროდუქტია, რომელიც ყოველდღიურად ათასობით ადამიანს ანიჭებს სიამოვნებას. მათი უმრავლესობა ალკოჰოლს ზომიერად იღებს და იცავს ცხოვრების ჯანსაღ წესს. თუმცა, ზედმეტი ალკოჰოლის მიღებას აშკარად უკავშირდება ჯანმრთელობის და ქცევითი რისკები და ისინი მხოლოდ ერთ კონკრეტულ პირზე არ მოქმედებს. ალკოჰოლის საზიანო დოზით მიღება სხვა ადამიანებს, საზოგადოებას, ჩვენს დარგსა და მის რეპუტაციას ვნებს. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ პოპულარიზაცია გავუწიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

საზოგადოებასთან ერთად გაზრდა

ჩვენი საქმიანობის გამო ყოველდღიურად ათასობით ადამიანთან ვურთიერთობთ. თუ შეგვიძლია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა გავაუმჯობესოთ, ასეც ვიქცევით. ეს ბიზნესისთვისაც კარგია და ჩვენს გრძელვადიან სტრატეგიასაც ემსახურება. ჩვენი საქმიანობით ბევრ ადამიანზე ვახდენთ გავლენას - დანყებულებით, რომლებისგანაც პროდუქციას ვიძენთ, დამთავრებული ადამიანებით, რომლებიც ჩვენი ღვინის ქარხნის გარშემო ცხოვრობენ. ჩვენ დამოკიდებულები ვართ ადგილობრივი თემების სტაბილურობაზე და სიამოვნებით ვუზიარებთ მათ ჩვენს წარმატებას, რათა დავეხმაროთ პირობების გაუმჯობესებაში. ჩვენი ყველაზე დიდი წვლილი ადგილობრივი თემების კეთილდღეობაში ისევ ჩვენი ძირითადი საქმიანობით ხდება: სამუშაო ადგილების შექმნით,

ადგილობრივ მომწოდებლებთან პარტნიორობით და გადასახადების გადახდით.

განათლება ღვინის შესახებ

ცქრიალა ღვინისა და ღვინის შესახებ განათლების გავრცელება ჩვენი კომპანიის იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. აქტიურად ვთანამშრომლობთ ყველა უმაღლეს სასწავლებელთან, სადაც იზრდებიან როგორც მომავალი მეღვინეები და აგრონომები ასევე სხვა სპეციალობის მქონე ახალგაზრდები.

ჩვენ კომპანიას რეგულარულად სტუმრობენ საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები, გვაქვს სადგგუსტაციო ტურები და მათ ვაცნობთ ქართული ღვინის ისტორიას.

საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია კომპანიის მიზნების მიღწევა. ჩვენი სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას და მათი ერთგულების წახალისებას. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2018

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვანაირად არ არის აღნიშნული სადმე)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	ათასი ლარი	
	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის მოგება	(6,540)	-2,838
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	528	561
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება/ზარალი)	173	(2)
საპროცენტო ხარჯი	4,978	4,997
მოგების გადასახადის ხარჯი		1
ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი	(1,058)	-635
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	2,892	(449)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	973	1,635
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	274	470
ცვლილება მარაგებში	(327)	1,337
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	342	380
ცვლილება სხვა მოკლევადიან აქტივებში	-	-
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(235)	(971)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,027	2,851
გადახდილი პროცენტი	(1,305)	(1,373)
გადახდილი მოგების გადასახადი		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(278)	1,478
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(7)	(26)
არამატერიალური აქტივების შეძენა		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	173	19
მიღებული პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	166	(7)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდი		

შენატანი საწესდებო კაპიტალში	-	-
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	635	-
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(1,750)
ინვესტიცია	(496)	315
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	139	(1,435)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	27	36
კურსთა შორის სხვაობა		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	27	36
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	13	(25)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	40	13

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

წ. ლ. ჯგერაძე

სს ბაგრატიონი-1882

აუდიტი: 31/12/2018

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში თუ სხვანაირად არ არის აღნიშნული სადმე)

	ათასი ლარი	
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2018	2017
წლის მოგება	(6,540)	(2,838)
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	528	561
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება/ზარალი)	173	(2)
საპროცენტო ხარჯი	4,978	4,997
მოგების გადასახადის ხარჯი		1
ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული მოსავალი	(1,058)	(635)
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	2,892	(449)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი თანხები	973	1,635
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	274	470
ცვლილება მარაგებში	(327)	1,337
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	342	380
ცვლილება სხვა მოკლევადიან აქტივებში	-	-
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(235)	(971)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,027	2,851
გადახდილი პროცენტი	(1,305)	(1,373)
გადახდილი მოგების გადასახადი		

სს “ბაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



CONSULTING

გაა კონსალტინგი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო
№SARAS-F-839053

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(278)	1,478
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(7)	(26)
არამატერიალური აქტივების შეძენა		
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	173	19
მიღებული პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	166	(7)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდი		
შენატანი სანესდებო კაპიტალში	-	-
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	635	
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(1,750)
ინვესტიცია	(496)	315
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	139	(1,435)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	27	36
კურსთა შორის სხვაობა		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა/(შემცირება)	27	36
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	13	(23)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	40	13

სს “ზაგრატიონი”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდდომარეობით